



ეკონომიკა

მთლიანი შიდა პროდუქტის გადაანგარიშება - საქსტატმა მშპ და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების ისტორიული მწკრივები გადაანგარიშა, როგორც ეს არის რეკომენდირებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (IMF და Eurostat). ამ გადაანგარიშებიდან გამომდინარე, რეალური მშპ-ს ზრდა, ნომინალური მშპ და ერთ სულ მოსახლეზე მშპ ახლა უფრო მაღალია ყოველწლიურად ძველ მონაცემებთან შედარებით 2010 წლიდან 2023 წლამდე.

ამასთან, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი ზრდის მიმართულებით გადაიხედა 7.5%-მდე 2023 წელს ძველ მწკრივში დაფიქსირებული 7.0%-დან, ხოლო რეალური მშპ-ის ზრდა საშუალოდ 9.7% იყო 2021-23 წლებში ახალი მონაცემებით წინა მონაცემებში დაფიქსირებულ 9.3%-თან შედარებით. რეალური ზრდის ტემპი კლების მიმართულებით მხოლოდ 2014 წელს შეიცვალა: 4.1% ახალი მონაცემებით vs 4.4% ძველი მონაცემებით.

ამ გადაანგარიშებიდან გამომდინარე, ჩვენი საბაზისო სცენარით 2024 წელს ვპროგნოზირებთ 6.0%-იან ეკონომიკურ ზრდას, რაც გავზარდეთ ამ გადაანგარიშებამდე არსებული 5.4%-იანი პროგნოზიდან.

ტურიზმის შემოსავლები: ჩვენი შეფასებით, 2024 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 300 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (+26.6% წ/წ მიგრაციის ეფექტის გამორიცხვით).

ჩვენი პროგნოზით, 2024 წელს ტურიზმის შესავლები 4.5 მლრდ აშშ დოლარს (+10.0% წ/წ) მიაღწევს, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო ვიზიტორების სრულად აღდენას პანდემიამდელ დონესთან შედარებით.


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2024 წლის იანვარში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 0.9%-ით შემცირდა და 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვესთან შედარებით რეზერვები 3.1%-ით არის შემცირებული (-156.4 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება მთავრობისა და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს უკავშირდება.

ეკონომიკური ინდიკატორები


	2023E	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	6.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	22,371	24,349
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,170	8,685
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	3.0%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	5.2
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.5%	4.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.5%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.1%	38.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის ზრდა: ახალი vs. ძველი



ტურიზმის შემოსავლები, \$ მლნ მიგრაციის ეფექტის გამორიცხვით





ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 6 თებერვალს 3-წლიანი 50 მლნ ლარის (18.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.9-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.082პპ-ით შემცირდა და 8.210% შეადგინა.

ასევე, ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 6 თებერვალს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.4-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.602პპ-ით შემცირდა და 8.345% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 12 თებერვალს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 10-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	110	420	360
1 წელზე მეტი	369	2,925	7,778
სულ	479	3,345	8,138


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას:

- შემოსავლიანობის მაჩვენებლები გაიზარდა როგორც აშშ-ს, ისე ევროპის ობლიგაციების ბაზრებზე. აშშ-ს 10-წლიანი სახაზინოს შემოსავლიანობა 4.03%-დან 4.19%-მდე ავიდა, ხოლო გერმანიის 10-წლიანი სახაზინოს (ევროპული ბენჩმარკი) შემოსავლიანობა 2.23%-დან 2.38%-მდე გაიზარდა.

სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1Q24F	2Q24F	3Q24F
US 2y Treasury	4.48	4.33	4.04	3.79
US 5y Treasury	4.14	4.04	3.84	3.69
US 10y Treasury	4.19	4.04	3.88	3.78
US 30y Treasury	4.37	4.24	4.09	4.00
German 2y Bund	2.72	2.64	2.44	2.31
German 10y Bund	2.38	2.31	2.20	2.19


საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
SOFR	5.31	5.31	5.31	5.38
EURIBOR (3-თვიანი)	3.90	3.92	3.93	3.91

კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2024
US Inv. Grade	5.40	5.41	5.22	5.22
Eurozone Inv. Grade	3.92	3.85	3.76	3.67
EM Inv. Grade	5.48	5.49	5.33	5.22
US High Yield	7.95	8.05	7.89	7.80
EM High Yield	10.23	10.35	10.25	10.12


წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდლიანური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.


FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)




აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



ECB-ის ძირითადი განაკვეთი



გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: FED, ECB, Bloomberg, გალტი & თაგარტი



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Mood y/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	93.35	6.03	174.49
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/	91.59	6.24	228.65
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/	100.88	12.74	332.42
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/-/B1	100.34	8.24	378.35
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/-/Ba2	99.62	6.80	149.59
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/	99.83	13.21	583.50

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამოშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	99.77	6.75
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.87	8.75
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.98	8.50
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	99.99	7.00
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.98	9.00
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.66	8.75
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.17	8.19
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.14	8.63
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.57	8.75
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.56	8.75

EUR

Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	99.67	7.25
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	99.57	7.25
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	100.43	6.50
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/-	99.55	7.25

GEL


Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & თაგარტი

კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტი & თაგარტი



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 37.50 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.06% წინა კვირასთან შედარებით და -4.82% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 107 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 36.60 - 38.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 29.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.03% წინა კვირასთან შედარებით და +5.38% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 133 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 28.10 - 29.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 28 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 11.14 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.42% წინა კვირასთან შედარებით და +6.70% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 159 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.14 - 11.44 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 73 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

								P/E			P/B		
	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	რ. თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	37.50	1,721	20.4%	37.4%	-5.7%	2.74x	4.43x	4.37x	0.90x	na	na
TBC	TBC	GBP	29.40	1,629	16.7%	20.5%	3.9%	4.10x	4.87x	4.23x	1.04x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	15.24	4,156	6.0%	39.8%	0.5%	2.69x	2.60x	2.70x	0.78x	0.86x	0.73x
Akbank	AKBNK	TRY	40.26	209,352	30.0%	173.9%	10.2%	1.40x	3.05x	2.92x	0.55x	1.00x	0.78x
Garanti	GARAN	TRY	64.45	270,690	21.6%	206.0%	10.5%	1.91x	3.56x	5.14x	0.73x	1.13x	0.92x
Isbank	ISCTR	TRY	25.82	258,199	46.5%	171.2%	10.5%	0.84x	3.68x	3.70x	0.60x	1.07x	0.92x
PKO	PKO	PLN	52.16	65,200	33.1%	59.0%	3.7%	10.98x	7.63x	7.55x	1.03x	1.36x	1.31x
PEKAO	PEO	PLN	158.00	41,470	40.6%	67.8%	3.9%	na	6.37x	7.40x	na	1.36x	1.31x
Millennium	MIL	PLN	8.40	10,190	36.4%	67.8%	0.5%	na	3.15x	3.91x	1.04x	1.47x	1.35x
Mbank	MBK	PLN	546.40	23,203	21.9%	71.3%	2.1%	na	7.66x	6.81x	1.10x	1.59x	1.40x
BRD	BRD	RON	18.06	12,586	25.4%	34.4%	0.8%	6.81x	7.79x	9.59x	1.31x	1.55x	1.60x
Banca Transilvania	TLV	RON	24.92	19,903	22.8%	41.9%	2.7%	na	7.36x	7.86x	1.60x	1.59x	1.54x
Komercni	KOMB	CZK	792.00	150,519	11.4%	5.4%	9.3%	8.36x	9.18x	10.78x	1.21x	1.10x	1.16x
Mean								4.42x	5.49x	5.92x	0.99x	1.28x	1.18x
Median								2.74x	4.87x	5.14x	1.04x	1.36x	1.31x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: შუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge

კვლევები:

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბარკერო: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)